ENERGO-PRO

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

დადგენილება #სფ-0267-22
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის
წარმოების შეწყვეტის შესახებ

20.10.2022წ. ქ. ხაშური

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას'' სამხრეთ საქართველოს ფილიალის იურისტი - მარიამ ფარეიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 20 ოქტომბერი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

აკაკი ზაბახიძე პ/ნ 38001011902, მის: ქ. საჩხერე, ვიქტორ ნოზაძის ქ. N1

აბონენტის №2210214900

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2022 წლის 13 ოქტომბერს ქ. საჩხერეში, ვიქტორ ნოზაძის ქ. N1-ში დაფიქსირდა ელ.ენერგიის დატაცების ფაქტი. კერძოდ, აბონენტ აკაკი ზაბახიძის (აბ. 2210214900) მრიცხველის შემოწმებისას აღმოჩნდა, აბონენტს სპ#311-012-ის 0.4 კვ ძაბვის ქსელის მაგისტრალურ სიპკაბელზე მიერთებული აქვს არალეგალურად ფაზა-ნოლი კაბელი, აღრიცხვის წესების დარღვევით. არალეგალურ სადენებად გამოყენებულია ინტერნეტის კაბელი, კვეთით 1 მმ2. შემოწმების მომენტში სადენებში დენი არ გადიოდა. სადენები ჩაიხსნა ქსელიდან.

აღნიშნულ ფაქტზე 13.10.2022 წელს საჩხერის მ/ც-ის უბნის მენეჯერის აკაკი გრძელიშვილის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ას N 009799. სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა თავად აბონენტი, რომელმაც უარი განაცხადა ახსნა-განმარტების მიცემაზე, რის თაობაზეც გაკეთდა შესაბამისი აღნიშვნა ოქმი. აკაკი ზაბახიძის მიერ განხორციელებული ელექტროენერგიის დატაცება (სამართალდარღვევა) წარმოადგენს მეორე შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2022 წლის 20 ოქტომბრის ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. კერძოდ, დარღვევა გამოვლენილია ს/ს "ენერგო-პრო ჯორჯია"ს მიერ 1) 18.07.2022წ მუხლი 96-1-1, ოქმი #ას009795, გაფრთხილება. 2) 22.08.2022წ მუხლი 96-1-1, ოქმი #009796, გაფრთხილება.

აკაკი ზაბახიძეს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა, სხდომაზე არ გამოცხადდა, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით არ მოუმართავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია და შეტყობინება, სადაც დაფიქსირებულია,

რომ ადგილი ჰქონდა, ელ.ენერგიის დატაცებას. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე დგინდება **აკაკი ზაბახიძის მიერ** მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა. თუმცა, სემეკის 28.06.2021 წლის №19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების“ 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენისთანავე, არ იქნა შედგენილი შესაბამისი აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი. შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა ამავე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნის დარღვევით. აღნიშნულის გამო, მიუხედავად იმისა, რომ დადასტურებულია სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომპანიას წერილობით მომართა შსს იმერეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რაიონული სამმართველომ და აღნიშნა, რომ აკაკი ზაბახიძე არის ფსიქიკურად დაავადებული პიროვნება, რომელიც აღრიცხვაზე იმყოფება 1993 წლიდან, დიაგნოზით: მწვავე და გარდამავალი ფსიქოზური აშლილობა. იგი ამჟამად გადის ფსიქიკური მკურნალობის კურსს თერჯოლის რაიონში მდებარე კლინიკა „იმერმედის“ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232 მუხლი ითვალისწინებს გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თუ უმოქმედობის ჩამდენი პირის შეურაცხადობის გამო.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ დადასტურებულია სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის მე-2 ნაწილით; მე-10; 38-ე; 232-ე; 236-ე; 240-ე; 228[2]-ე; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 28.06.21 წლის №19 დადგენილებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 29.06.2022 წლის № EPG RU2022007 წესითა და 10.10.2022 წლის №EPG OR2022037 ბრძანებით და:

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. აკაკი ზაბახიძის (პ/ნ 3800101902) მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სამართალდამრღვევის შეურაცხადობის გამო.

(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დაახელება)

7. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

მარიამ ფარეიშვილი
კომისიის თავმჯდომარე